საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/8089
22/12/2022

8089-21-2-202212221259

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“
მის: ქ. თბილისი, კახეთის გზატკ. 21
ელ. ფოსტა: public@gogc.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი N6932 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება დუშეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ფასანაურში მდ. არაგვის ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- ჰიდროლოგიურ ნაწილში მოცემული მდინარის საანგარიშო დატბორვის დონეები (რომლებიც, საპროექტო ნაგებობის გასწვრივ, იცვლება 985,0 ნიშნულიდან 986,60 ნიშნულამდე) არ ემთხვევა კონსტრუქციულ ნაწილის განივ ჭრილებში მოცემული საპროექტო უბნის ნიშნულებს (საპროექტო ნაგებობის ძირის ნიშნული იცვლება 1065,18 მეტრიდან 1069,9 მეტრამდე);
- განივ კვეთებზე მოცემული უნდა იყოს მდინარის საანგარიშო დატბორვისა და კალაპოტის წარეცხვის შესაბამისი დონეები;
- იმ შემთხვევაში, თუ საპროექტო ნაგებობა ეფუძნება ძირითად ქანებს, განივ კვეთებზე დატანილი უნდა იყოს შესაბამისი აღნიშვნები;
- სკრინინგის განცხადების მიხედვით, სამშენებლო სამუშაოების ჩატარება დაგეგმილია მდინარე არაგვის კალაპოტში, თუმცა განცხადებაში არ არის ინფორმაცია მდ. არაგვში გავრცელებულ წყლისა და წყალზე დამოკიდებულ სახეობებზე (განსაკუთრებით თევზებზე), პროექტის განხორციელებით მასზე მოსალოდნელ ზემოქმედებაზე და ამ ზემოქმედების თავიდან აცილების ღონისძიებებზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს

მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო